

საბანკო მომსახურების პირობების 3.2.15; 3.2.16; 3.2.17; 3.2.18 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რელაქციით:

3.2.15. ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრირებული უნიკალური იდენტიფიკატორებია:

ა) მომხმარებლის სახელი – ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში საბანკო მომსახურების მისაღებად, ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო, ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემის მიერ ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრული ერთ-ერთ პარამეტრი, რომელიც უნიკალურია, ამასთანავე შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს კლიენტის მიერ, ბანკის შესაბამისი დისტანციური არხის გამოყენებით, ბანკის მიერ განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად.

ბ) პაროლი – ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში საბანკო მომსახურების მისაღებად ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო ერთ-ერთ პარამეტრი, რომელიც კლიენტს გადაეცემა ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრაციისთანავე, ბანკის მიერ შერჩეული დისტანციური არხის ან კომუნიკაციის სხვა არხის საშუალებით. პაროლი, რომელიც თავდაპირველად გადაეცემა კლიენტს ექვემდებარება სავალდებულო ცვლილებას კლიენტს მიერ ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში მომსახურების მისაღებად ნებისმიერი დისტანციური არხის პირველივე გამოყენებისას. ამასთანავე, შესაბამისი ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში საბანკო მომსახურებით სარგებლობის პერიოდში კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ბანკში დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს არსებული პაროლი შესაბამისი დისტანციური არხის გამოყენებით.

გ) მობილური ტელეფონის ნომერი ან დიჯიტალიზაცია (რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც მატერიალური, ასევე პროგრამული აპლიკაციის ფორმის) – რომელზეც კლიენტი იღებს ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში საბანკო მომსახურებით განსაზღვრული ოპერაციების წარმოებისთვის საჭირო ერთჯერად ვაჭრის კოდებს. ამასთანავე, შესაბამისი დისტანციური იდენტიფიკაციის სისტემაში საბანკო მომსახურებით სარგებლობის პერიოდში კლიენტი უფლებამოსილია, ხოლო ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, ნებისმიერ დროს ბანკში დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს მობილური ტელეფონის ნომერი ან დიჯიტალიზაცია, ბანკის შესაბამისი დისტანციური არხის გამოყენებით (მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომრის შემთხვევაში) ან ბანკის ნებისმიერ სერვის-ცენტრში განხორციელებული შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით. ბანკის გადაწყვეტილებით ერთჯერადი ვაჭრის კოდები კლიენტს შეიძლება მიეწოდოს, როგორც მობილური ტელეფონის ნომრის, ისე დიჯიტალიზაციის მეშვეობით ერთდროულად.

3.2.16. ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში საბანკო მომსახურების მისაღებად კლიენტს შესაძლოა განესაზღვროს ავტორიზაციის განხორციელების ვალდებულება მარტივი (სახელის და პაროლის გამოყენება) ან რთული (სახელის, პაროლის და ერთჯერადი ვაჭრის კოდის გამოყენება) ავტორიზაციის მეთოდით. ავტორიზაციის მეთოდი ყოველი შესაბამისი დისტანციური არხით/სერვისით სარგებლობისათვის ასევე რეგისტრირდება ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში.

3.2.17. მატერიალური ფორმის დიჯიტალიზაცია კლიენტს გადაეცემა ბანკის სერვისცენტრში დიჯიტალიზაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო პროგრამული აპლიკაციის ფორმის დიჯიტალიზაცია სარგებლობა/გააქტიურება კლიენტს შეუძლია შესაბამისი აპლიკაციის ჩამოტვირთვისა (რისთვისაც აუცილებელია ინტერნეტთან წვდომა) და ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში საბანკო მომსახურების სარგებლობისათვის გადაცემული სახელით და ერთჯერადი ვაჭრის კოდებით.

3.2.18. პროგრამული აპლიკაციის ფორმის დიჯიტალიზაცია სარგებლობა (ერთჯერადი ვაჭრის კოდების მიღება) შესაძლებელია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის როუმინგის გააქტიურებისა და ინტერნეტთან წვდომის გარეშე). პროგრამული აპლიკაციის ფორმის დიჯიტალიზაცია სარგებლობა (ერთჯერადი ვაჭრის კოდების მიღება) შესაძლებელია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის როუმინგის გააქტიურებისა და ინტერნეტთან წვდომის გარეშე). კლიენტს ერთდროულად შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთ-ერთი ფორმის დიჯიტალიზაციით. პროგრამული აპლიკაციის ფორმის დიჯიტალიზაცია გააქტიურება ავტომატურად გამოიწვევს მატერიალური ფორმის დიჯიტალიზაციას, რომლის ხელახლა აქტივაციაც (შესაბამისად პროგრამული აპლიკაციის ფორმის დიჯიტალიზაცია) შესაძლებელია ბანკის სერვისცენტრში.

საბანკო მომსახურების პირობების 10.4. პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- 10.4. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ცალმხრივად საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს ცვლილება **სქელშეპრულებში** პირობებში, კერძოდ შეცვალოს შესაბამისი პირობები ან/და განსაზღვროს დამატებითი პირობები, შემდგომი პროცედურების დაცვით (გარდა www.bankofgeorgia.ge-ზე განთავსებული ტარიფებისა, რომლის ცვლილება ხორციელდება ავტომატურად, ამავე ვებ გვერდზე განთავსებით, **კლიმენტისათვის** დამატებითი შეტყობინების გარეშე):
- 10.4.1. თუ ასეთი ცვლილება/დამატება აუარესებს **კლიმენტის** მდგომარეობას, მაშინ ასეთი ცვლილების/დამატების შესახებ **ბანკი** ცვლილების/დამატების ძალაში შესვლის თარიღამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ატყობინებს **კლიმენტს სქელშეპრულებით** ან/და **ბანკის** მიერ ცალმხრივად განსაზღვრული კომუნიკაციის წესით;
- 10.4.2. თუ ასეთი ცვლილება/დამატება ხორციელდება **კლიმენტის** სასარგებლოდ, ან/და არ აუარესებს **კლიმენტის** მდგომარეობას, მაშინ ასეთი ცვლილება/დამატება ამოქმედდება **ბანკის** მიერ განსაზღვრული თარიღიდან. ამასთან, **ბანკი** ვალდებულია შესაბამისი ცვლილების/დამატების ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში შეატყობინოს **კლიმენტს სქელშეპრულებით** ან/და **ბანკის** მიერ ცალმხრივად განსაზღვრული კომუნიკაციის წესით.